

შპს სპორტმშენსერვისი
ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

მოსაზრება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კაპიტალის ცვლილების ანგარიში	9
ფულადი ნაკადების ანგარიში	10
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11
1.ზოგადი ინფორმაცია	11
2.მომზადების საფუძვლები	12
3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	20
5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება.....	21
7. ფული და ფულის ექვივალენტები.....	23
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	23
9. მარაგები.....	23
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
11. შემოსავალი	24
12. ადმინისტრაციული ხარჯები.....	24
13. არასაოპერაციო შემოსავლები	25
14. არასაოპერაციო ხარჯები.....	25
15. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა.....	25
16. გაუთვალისწინებელი გარემოებები.....	29
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	30
19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	30

დამოუკიდებელი აუდიტორი დასკვნა

შპს „სპორტმშენსერვისი“

მოსაზრება

ჩავატარეთ **შპს „სპორტმშენსერვისი“** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს **შპს „სპორტმშენსერვისი“** ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

საზოგადოების ბალანსში ასახულია გადახდილი ავანსი 8 393 793 ლარის ოდენობით კანადური კომპანიის „Behlen Industris LP“ და „ბეჰლენ ინდუსტრის საქართველოს“ მიმართ, რომელთანაც მიმდინარეობს დავა ლონდონის არბიტრაჟში. დავა წარმოიშვა მოხსენიებულ მხარეთა შორის, 2016 წელს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სამმხრივი ხელშეკრულებიდან (N 160) გამოწვეულ საკითხებთან დაკავშირებით. დავის ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში: კანადურმა მხარემ არ წარმოადგინა სამშენებლო პროექტის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, რაც გახდა ქართული მხარისთვის მიზეზი გაეწყვიტა სახელშეკრულებო ურთიერთობა, ხოლო თავისმხრივ აღნიშნული გახდა კანადური კომპანიისთვის საფუძველი წამოეწყო დავა ლონდონის არბიტრაჟში. დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, საზოგადოების მენეჯმენტი ვერ განსაზღვრავს

სასამართლო დავის შესაძლო შედეგს. ჩვენი მოსაზრებით აღნიშნული დავის შესაძლო გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე იქნება არსებითი, მაგრამ არა ყოვლისმომცველი.

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ შპს „სპორტმშენსერვისის“ იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სპორტმშენსერვისის“ 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „სპორტმშენსერვისის“ მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „სპორტმშენსერვისის“ კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავ ანალიზს. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მოამზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „სპორტმშენსერვისის“ ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებათან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „სპორტმშენსერვისის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კონსტანტინე კიკნაძე

შპს „თიჯიეს-კკ ჯგუფის“ სახელით

ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11

19 სექტემბერი 2020 წ.

**Konstantin
e Kiknadze** Digitally signed by
Konstantine Kiknadze
Date: 2020.09.19
12:46:13 +04'00'

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	17,807,098	6,901,276	6,755,612
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	474,664	9,312,681	9,674,601
სასაქონლო მატერიალური მარაგი	9	54,870	107,419	105,494
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები		100	4,164	3,553
სულ მიმდინარე აქტივები		18,336,732	16,325,540	16,539,260
გრძელვადიანი მატერიალური აქტივები	6	78,643,719	122,391,681	221,433,966
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივები			7,461	13,682
სულ გრძელვადიანი აქტივები		78,643,719	122,399,142	221,447,648
სულ აქტივები		96,980,452	138,724,682	237,986,908
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	10	5,383,565	81,537	91,947
საგადასახადო ვალდებულებები		(1,913,437)	(744,597)	(85,294)
მიღებული ავანსები	10			30,433
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,470,128	(663,060)	37,087
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება				150,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	150,000
სულ ვალდებულებები		3,470,128	(663,060)	187,087
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		95,660,815	140,773,157	218,310,189
გაუნაწილებელი მოგება		(2,150,491)	(1,385,415)	(1,365,115)
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი				20,854,747
სულ საკუთარი კაპიტალი		93,510,324	139,387,742	237,799,821
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		96,980,452	138,724,682	237,986,908

დირექტორი

თორნიკე ტყემელაშვილი

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

ნანა სულაბერიძე

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო

შპს „სპორტმშენსერვისი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2018 წ.	12 თვე, 2019 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან		2,468,220	2,926,304
სულ საოპერაციო შემოსავალი	11	2,468,220	2,926,304
მომსახურების თვითღირებულება		(25,231)	(662)
მთლიანი მოგება		2,442,989	2,925,643
საოპერაციო ხარჯები		(3,265,944)	(4,049,877)
ცვეთა		(1,112,986)	(151,652)
სულ საოპერაციო ხარჯები	12	(4,378,930)	(4,201,529)
არასაოპერაციო შემოსავლები	13	2,978,610	1,313,754
არასაოპერაციო ხარჯი	14	(277,593)	(15,692)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		2,701,017	1,298,063
მოგება დაბეგვრამდე		765,076	22,177
მოგების გადასახადი			(1,877)
წმინდა მოგება		765,076	20,300

დირექტორი

თორნიკე ტყეშელაშვილი

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

ნანა სულაბერიძე

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო

შპს „სპორტმშენსერვისი“

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	რეზერვები	ჯამურად
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	95,660,815	(2,150,491)	-	93,510,324
საწესდებო კაპიტალის ზრდა	45,112,342			45,112,342
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		765,076		765,076
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი			-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	140,773,157	(1,385,415)	-	139,387,742
საწესდებო კაპიტალის ზრდა	77,537,032	-		77,537,032
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		20,300		20,300
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი			20,854,747	20,854,747
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	218,310,189	(1,365,115)	20,854,747	237,799,821

დირექტორი

თორნიკე ტყემელაშვილი

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

ნანა სულაბერიძე

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფულადი ნაკადების ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2018	2019
მოგება/ზარალი	765,076	20,300
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,112,986	151,652
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	1,878,062	171,952
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	(8,838,017)	(361,920)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(52,549)	1,925
ცვლილებები სხვა მიმდინარე აქტივებში	(4,064)	611
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	(5,302,028)	10,410
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	-	30,433
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	1,168,840	659,304
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(11,149,757)	512,716
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	(44,868,409)	(78,345,411)
ცვლილებები გრძელვადიან ვალდებულებებში	-	150,000
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(44,868,409)	(78,195,411)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ცვლილება	45,112,342	77,537,032
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	45,112,342	77,537,032
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	(10,905,823)	(145,664)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	17,807,098	6,901,276
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	6,901,275	6,755,612

დირექტორი

თორნიკე ტყემელაშვილი

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

ნანა სულაბერიძე

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სპორტმშენსერვისი“ (შემდგომში - „საზოგადოება“) დაფუძნდა 1999 წლის 22 ოქტომბერს. საიდენტიფიკაციო კოდი: 204878542. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., №49ა. ფაქტიური მისამართი: თბილისი ვაკე-საბურთალო უნივერსიტეტის 15ა.

შპს „სპორტმშენსერვისი“ (შემდგომში - „საზოგადოება“) ძირითად საქმიანობად განისაზღვრა:

- ✓ სპორტული ბაზების მოდერნიზაცია, გადაიარაღება, გადაფორმება და კაპრემონტის სამუშაოების ჩატარება;
- ✓ სპორტული ბაზების პასპორტიზაცია;
- ✓ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემის სპორტული ბაზების ინვენტარიტა და მოწყობილობებით მომარაგების ცენტრალიზებული უზრუნველყოფა;
- ✓ საქართველოს ნაკრები გუნდების უზრუნველყოფა, სპორტული ფორმებით, ატრიბუტიკით, სპორტული ინვენტარით და მივლინებებით;
- ✓ სპორტული დელეგაციების მიღება გამგზავრების უზრუნველყოფა ვიზებით ტრანსპორტით და სხვა მომსახურებით;
- ✓ ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების ეფექტური ექსპლუატაცია, ფასიანი მომსახურების გაუმჯობესება, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და მშენებლობა;
- ✓ კომუნალური მომსახურების საკითხების მოგვარება, ექსპლუატაციის წესების დაცვა, საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის მუშაობის კორდინაცია და კონტროლი;
- ✓ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ტურისტული საქმიანობის წარმოება.

კომპანიის 100%-იანი დამფუძნებელია 202330566, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (სნ 202330566).

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალი ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას გააჩნია მომსახურებისათვის გამიზნული აქტივები და ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებას ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების

აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ) ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. კაპიტალიზდება მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლის ხარჯები, ხოლო გამოცვლილი ნაწილის ღირებულებები ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. წინა პერიოდებში ძირითადი საშუალებების გაუფასურებით მიღებული ზარალი გადაიხდება თუ შეიცვლა ვარაუდები, რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების გამოყენებადი ღირებულების ან რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულების განსასაზღვრად.

გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, რომლებიც განისაზღვრება საბალანსო ღირებულების სანაცვლო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ხარჯის განაწილებით სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში.

ჯგუფი	%
შენობები	2
სატრანსპორტო საშუალებები	15
ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	10
ავეჯი	20

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე .

კაპიტალი & დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. შესამოწმებელ და შესადარებელ პერიოდში დივიდენდის გაცემა არ განხორციელებულა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში და იგი ძირითადად დამოკიდებულია გაცემული დივიდენდის ოდენობაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა).

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იჯარიდან მიღებული შემოსავალი ასახულია საოპერაციო შემოსავლებში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საოპერაციო იჯარა

კომპანია იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებსა და შემოსავლებს კომპანია აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

იჯარის ვადა არის მოიჯარის მიერ იჯარით აღებული აქტივით სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის მონაკვეთი, რომელიც არ ექვემდებარება შეცვლას ან გაუქმებას, იმ დამატებითი დროის მონაკვეთთან ერთად, რომლის განმავლობაში მოიჯარეს, ხელშეკრულების თანახმად უფლება აქვს გააგრძელოს აქტივის გამოყენება გარკვეული დამატებითი თანხის გადახდის ან გადაუხდელობის პირობით.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2018 -2019 წლების 31 დეკემბრის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

			აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი	2018	წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
გაცვლითი კურსი	2019	წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

საანარიცხო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და

– პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:

- შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა ომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
- მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურსარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელა ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდიდება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია :

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

5.ფასს-ებზე გადასვლის განმარტება

კომპანია ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ების მოთხოვნების შესაბამისად.

მე-3 შენიშვნაში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოყენებულ იქნა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, ასევე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესადარისი ფინანსური ინფორმაციისთვის.

6. ძირითადი
საშუალებები

	მიწა	დაუმთავრე ბელი მშენებლობა	შენობა ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილო ბა	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	არამატერიალ ური აქტივები	სულ
ბალანსი 31/12/2018	45,138,094	35,488,461	40,471,637	558,593	685,857	38,610	10,427	7,462	122,399,142
პერიოდის ცვლა	0		(95,829)	(46,224)	(89,538)	(10,005)	(3,050)	(2,740)	(247,385)
დანამატები	86,792,225		11,930,597	66,466	935,826	4,231	13,459	8,960	99,751,765
აქტივების ჩამოწერა	(417,990)		(37,885)						(455,874)
ბალანსი 31/12/2019	131,512,330	35,488,461	52,268,521	578,836	1,532,146	32,836	20,836	13,682	221,447,648

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018-2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2018	31.12.2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,965	1,497
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6,679,758	6,514,357
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	218,236	239,758
ჯამი	6,900,958	6,755,612

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018-2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2018	31.12.2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	918,939	1,280,610
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	8,393,831	8,394,080
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-
ჯამი	9,312,770	9,674,690

9. მარაგები

მარაგები 2018-2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად.

დასახელება	31.12.2018	31.12.2019
საქონელი	6,206	2,098
ნედლეული და მასალები	96,955	98,049
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	4,259	5,347
ჯამურად	107,419	105,494

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2018-2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2018	31.12.2019
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	56,303	91,947
მიღებული ავანსები	25,235	30,433
გადასახდელი ხელფასები	-	-
სულ კრედიტორული დავალიანება	81,537	122,381

11. შემოსავალი

შემოსავლის არსებით ნაწილს წარმოადგენს საიჯარო შემოსავალი. 2018-2019 წლისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2018	2019
შემოსავალი რეალიზიციიდან	1,614,248	2,845,944
სხვა საოპერაციო შემოსავლები	853,972	80,360
სულ შემოსავალი	2,468,220	2,926,304

12. ადმინისტრაციული ხარჯები

პირდაპირი ხარჯები 2018-2019 წლისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2018	2019
რეკლამის ხარჯები	280	-
მიწოდების სხვა ხარჯები	64,829	3,339
შრომის ანაზღაურება	1,300,903	2,506,243
სახელფასო დანამატი (დახმარება)	851	
სოციალური დანარიცხები	70,528	35,032
მივლინების	15,399	10,659
საოფისე ხარჯი	6,714	91,343
კომუნიკაციის ხარჯები	31,308	662,353
რეკლამის ხარჯი	1,110	
დაცვის ხარჯი	136,719	
რემონტის ხარჯი	102,545	76,816
მონტაჟი	1,864	
კომპიუტერის ხარჯები	647	182

აუდიტ. მომსახურება	22,094	
იურიდ მომსახ. ხარჯი	30,000	
ცვეთა და ამორტიზაცია	1,112,986	151,652
სხვა საგადასახადო ხარჯი	424,804	423,732
კომუნალური ხარჯი	520,201	
სხვა საერთო ხარჯი	535,150	218,741
ერთჯერადი მომსახურებები		5,245
ავტოსატრანსპორტო ხარჯი		16,191
ჯამი	4,378,930	4,201,529

13. არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავალი 2018-2019 წლისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2018	2019
საპროცენტო შემოსავლები	922,248	523,067
აქტივების შეფასება		774,365
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	2,056,362	16,323
ჯამი	2,978,610	1,313,754

14. არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	2018	2019
საკურსო ზარალი	213,915	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	63,678	15,692
სულ ხარჯი	277,593	15,692

15. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს

მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

ფინანსური აქტივები	12/31/2017	12/31/2018	12/31/2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	474,664	9,312,681	9,674,601
ფული და ფულადი ექვივალენტები	17,807,098	6,901,276	6,755,612
სულ ფინანსური აქტივები	18,281,762	16,213,957	16,430,213

ფინანსური ვალდებულებები	12/31/2017	12/31/2018	12/31/2019
-------------------------	------------	------------	------------

მიღებული ავანსები	-	-	30,433
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,383,565	81,537	91,947
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,383,565	81,537	122,381

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	12/31/2017	12/31/2018	12/31/2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	474,664	9,312,681	9,674,601
ფული და ფულადი ექვივალენტები	17,807,098	6,901,276	6,755,612
სულ ფინანსური აქტივები	18,281,762	16,213,957	16,430,213

ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული

ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

კომპანიის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. კომპანიის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიზმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან. სავალუტო რისკის კომპანიაზე არ მოახდენს გავლენას ვინაიდან არ ხორციელდება სავალუტო ოპერაციები.

16. გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ზოგადად საზოგადოებების მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები. საზოგადოების მიმართ ხორციელდება სამართლებრივი დავა. აღნიშნული დავა განხილულია „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ აბზაცში.

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს არ განხორციელებულა ოპერაციები. ხელმძღვანელის საშუალო თვიური ანაზღაურება შეადგენს 6250 ლარს.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 1 სექტემბერს.

შპს „სპორტმშენსერვისი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის


საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
აქტივები				
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	17,807,098	6,901,276	6,755,612
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	474,664	9,312,681	9,674,601
სასაქონლო მატერიალური მარაგი	9	54,870	107,419	105,494
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები		100	4,164	3,553
სულ მიმდინარე აქტივები		18,336,732	16,325,540	16,539,260
გრძელვადიანი მატერიალური აქტივები	6	78,643,719	122,391,681	221,433,966
გრძელვადიანი არამატერიალური აქტივები			7,461	13,682
სულ გრძელვადიანი აქტივები		78,643,719	122,399,142	221,447,648
სულ აქტივები		96,980,452	138,724,682	237,986,908
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	10	5,383,565	81,537	91,947
საგადასახადო ვალდებულებები		(1,913,437)	(744,597)	(85,294)
მიღებული ავანსები	10			30,433
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,470,128	(663,060)	37,087
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება				150,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	150,000
სულ ვალდებულებები		3,470,128	(663,060)	187,087
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		95,660,815	140,773,157	218,310,189
გაუნაწილებელი მოგება		(2,150,491)	(1,385,415)	(1,365,115)
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი				20,854,747
სულ საკუთარი კაპიტალი		93,510,324	139,387,742	237,799,821
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		96,980,452	138,724,682	237,986,908


 დირექტორი
 თორნიკე ტყემელაშვილი

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო


 მთავარი ბუღალტერი

ნანა სულაბერიძე

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო

შპს „სპორტშენსერვისი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	12 თვე, 2018 წ.	12 თვე, 2019 წ.
შემოსავალი რეალიზაციიდან		2,468,220	2,926,304
სულ საოპერაციო შემოსავალი	11	2,468,220	2,926,304
მომსახურების თვითღირებულება		(25,231)	(662)
მთლიანი მოგება		2,442,989	2,925,643
საოპერაციო ხარჯები		(3,265,944)	(4,049,877)
ცვეთა		(1,112,986)	(151,652)
სულ საოპერაციო ხარჯები	12	(4,378,930)	(4,201,529)
არასაოპერაციო შემოსავლები	13	2,978,610	1,313,754
არასაოპერაციო ხარჯი	14	(277,593)	(15,692)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		2,701,017	1,298,063
მოგება დაბეგვრამდე		765,076	22,177
მოგების გადასახადი			(1,877)
წმინდა მოგება		765,076	20,300



დირექტორი

თორნიკე ტყეშელაშვილი

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო


მთავარი ბუღალტერი

ნანა სულაბერიძე

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო

შპს „სპორტმშენსერვისი“

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	რეზერვები	ჯამურად
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	95,660,815	(2,150,491)	-	93,510,324
საწესდებო კაპიტალის ზრდა	45,112,342			45,112,342
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		765,076		765,076
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი			-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	140,773,157	(1,385,415)	-	139,387,742
საწესდებო კაპიტალის ზრდა	77,537,032	-		77,537,032
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		20,300		20,300
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი			20,854,747	20,854,747
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	218,310,189	(1,365,115)	20,854,747	237,799,821



დირექტორი

თორნიკე ტყემელაშვილი

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

ნანა სულაბერიძე

19 სექტემბერი 2020

თბილისი, საქართველო


შპს „სპორტშენსერვისი“

ფულადი ნაკადების ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2018	2019
მოგება/ზარალი	765,076	20,300
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,112,986	151,652
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	1,878,062	171,952
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	(8,838,017)	(361,920)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(52,549)	1,925
ცვლილებები სხვა მიმდინარე აქტივებში	(4,064)	611
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	(5,302,028)	10,410
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	-	30,433
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	1,168,840	659,304
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(11,149,757)	512,716
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	(44,868,409)	(78,345,411)
ცვლილებები გრძელვადიან ვალდებულებებში	-	150,000
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(44,868,409)	(78,195,411)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ცვლილება	45,112,342	77,537,032
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	45,112,342	77,537,032
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	(10,905,823)	(145,664)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	17,807,098	6,901,276
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	6,901,275	6,755,612


დირექტორი
თორნიკე ტყემელაშვილი
19 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო


მთავარი ბუღალტერი
ნანა სულაბერიძე
19 სექტემბერი 2020
თბილისი, საქართველო

შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გავითვალისწინეთ სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა.

2020წლის მანძილზე შპს „სპორტმშენსერვისში“ საშუალოდ დასაქმებულთა რაოდენობა შტატით 59 და შტატგარეშე 96 ადამიანი შეადგინა.

სამომავლოდ დაგეგმილი სიახლეები

შპს სპორტმშენსერვისის ყველა ლოკაციის მომხმარებლისათვის კომფორტის შესაქმნელად, ვიზიტორების მოსაზიდად და შესაბამისად ფინანსური მოგების გაზრდის მიზნით საჭიროა კომპლექსების კეთილმოწყობა, სტადიონების სრული დატვირთვით ფუნქციონირებისათვის და სხვადასხვა დონის ტურნირების ჩატარებისათვის აუცილებელია რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება, კერძოდ გუნდების მწვრთნელების და სათადარიგო მოთამაშეებისათვის დასახდომი სკამების მოწყობა, გადამღები ოპერატორის ვიშკის განთავსება, გასახდელების კეთილმოწყობა და ა.შ. ასევე სტადიონების მოსავლელად აუცილებელია სპეცტეჟნიკის შესყიდვა, რითაც მოხდება აღნიშნულ სპეცტეჟნიკის იჯარაზე გადასახდელი თანხის დაზოგვა.

შპს სპორტმშენსერვისის

დირექტორი:



თორნიკე ტყეშელაშვილი

**შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს
ფინანსური ანგარიშგების
აუდიტი**

შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს მმართველობითი ანგარიში

1. შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს შესახებ:

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სპორტმშენსერვისი“ (შემდგომში - „სპორტმშენსერვისი“) არის მეწარმე სუბიექტი იგი შექმნილია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, რომელმაც სახელმწიფო რეგისტრაცია შესაბამისი წესით, სამეწარმეო რეესტრში გაიარა ვაკე-საბურთალოს სასამართლოს 1999 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით. მისი დამფუძნებელი და კაპიტალში წილის 100%-ის მესაკუთრე პარტნიორია სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით.

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 15 მარტის №15/03/06 განკარგულებისა და 2013 წლის 25 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული „სპორტმშენსერვისის“ 100% წილი მართვის უფლებით.

„სპორტმშენსერვისი“ არ წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციას, მისი საქმიანობა ძირითადად რეგულირდება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით, საკუთარი წესდებითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით, რომელიც არეგულირებს იურიდიული პირების (სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების) უფლებებსა და მოვალეობებს.

„სპორტმშენსერვისის“ კაპიტალის ფორმირება ხორციელდება პარტნიორის შენატანებით და საკუთარი აქტივობების მეშვეობით.

2. კაპიტალი (2013-2019 წლები)

გვინდა მოგახსენოთ „სპორტმშენსერვისის“ განვითარების დინამიკაზე 2013-2019 წლებში და განხორციელებულ საქმიანობაზე კომპანიის წარმატების მიზნით.

„სპორტმშენსერვისის“ მთლიანი აქტივები 2013-2019 წლების პერიოდში მკვეთრი ზრდით ხასიათდება, კერძოდ თუ 2013 წლის ბოლოს მთლიანი აქტივები 13,01

მილიონ ლარს შეადგენდა, 2019 წლის მონაცემებით ეს ციფრი 218.32 მილიონ ლარამდეა გაზრდილი. ამასთან 2018 წელთან შედარებით 2019 წლის ზრდამ 78.85 მილიონი ლარი შეადგინა. აღნიშნული განპირობებულია „სპორტმშენსერვისის“ დამფუძნებლის მიერ ფულისა და მიწის ნაკვეთების სახით განხორციელებული შენატანებით კაპიტალის ეტაპობრივი გაზრდით და შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნით.

3. ვაკის სამდარბაზიანი სპორტკომპლექსი

ვაკის 3 დარბაზიანი სპორტკომპლექსი (საკ.კოდი 01.14.07.008.014) აშენებულია და ექსპლუატაციაში შესულია 90-იან წლებში. იგი არის თანასაკუთრებაში. მიწის ფართი შეადგენს - 9 134.00 კვ/მ-ს, ხოლო შენობა-ნაგებობის ფართი - 6184,34 კვ/მ.-ს. „სპორტმშენსერვისის“ ბალანსზე რიცხული ფართებიდან ძირითადი ნაწილი აუქციონის წესით გაცემულია იჯარით. ფართების შეფასებას ახორციელებს დამოუკიდებელი აუდიტორი და მასზე დაყრდნობით „სპორტმშენსერვისი“ იღებს გადაწყვეტილებას საბაზრო ღირებულების დაწესებასთან დაკავშირებით. აუქციონზე გატანის ნებართვას „სპორტმშენსერვისს“, რა თქმა უნდა აძლევს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“.

2013-2014-2015 წლებში ჩატარდა 170 000 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები. აღნიშნულმა განაპირობა საიჯარო ფართების ღირებულების ზრდა საშუალოდ 50%-ით და შესაბამისად „სპორტმშენსერვისის“ შემოსავლების მატება.

4. ელექტრონული აუქციონები 2014-2019 წლებში

აქვე მოცემულია წლებისა და ობიექტების მიხედვით ელექტრონულ აუქციონებზე ინფორმაცია:

აუქციონები 2014-2018 წლები

წლები	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
რაოდენობა	16	15	9	6	2
ფართი (კვ/მ)	2775,91	2363,39	1904,14	876,49	61,18

2014 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 16 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე - 726.49 კვ/მ; სპორტ. დარბაზი, გასახდელი - 1 258.52 კვ/მ; სამრეცხაო - 56 კვ/მ; ავტოფარეხი - 734.9 კვ/მ.

2015 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 15 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე - 1 333.38 კვ/მ; სპორტ. დარბაზი, გასახდელი - 1 030.01 კვ/მ.

2016 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 9 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე - 288.87 კვ/მ ; სპორტ. დარბაზი, გასახდელი - 460 კვ/მ; ავტოფარეხი - 536.63 კვ/მ; გაიჯარდა (ოლიმპიურ სასახლეში): საოფისე - 135.54 კვ/მ; კაფე, სამზარეულო - 205.1 კვ/მ; კომერც. საქმიანობისათვის - 10 კვ/მ გაიჯარდა (ოლიმპიურ აუზზე): საოფისე - 19.3 კვ/მ; კაფე, სამზარეულო 247.7 კვ/მ; კომერც. საქმიანობისათვის - 1 კვ/მ.

2017 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 6 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე - 532.47 კვ/მ; სპორტ. დარბაზი, გასახდელი - 290 კვ/მ; გაიჯარდა (ოლიმპიურ აუზზე): საოფისე - 54.02 კვ/მ.

2018 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 2 ჯერ გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე - 30.24 კვ/მ; გაიჯარდა (ოლიმპიურ სასახლეში): საოფისე - 21.94 კვ/მ, აპარატების დასადგმელად - 9 კვ/მ.

2019 წელი - ელ. აუქციონი გამოცხადდა 52 ჯერ. გაიჯარდა (სამდარბაზიან სპორტ - ში): საოფისე 258.15 კვ/მ; სპორტული დარბაზი 290.00 კვ/მ. გაიჯარდა (ოლიმპიურ სასახლეში): საოფისე 21.92 კვ/მ; ავტოსადგომი 1460 კვ/მ; აპარატების განსათავსებლად 1.5 კვ/მ. გაიჯარდა (ოლიმპიურ აუზზე): ფართი კომერციული საქმიანობისათვის 31.9 კვ/მ; შენობისა და გარე პერიმეტრის ლოკაციაზე 322.5 კვ/მ ფართი კაფისა და სამზარეულოს მოსაწყობად. გაიჯარდა (ტანვარჯიშის დარბაზში): საოფისე 66.58 კვ/მ.

5. ოლიმპიური ობიექტების მშენებლობა

2013 წლის მეორე ნახევარში შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისის“ დამფუძნებლის (სახელმწიფო), საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ფარგლებში განხორციელებულიყო ორი მასშტაბური სამშენებლო პროექტი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. საუბარია ოლიმპიურ აუზსა და ოლიმპიურ სასახლეზე. ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელება

დამფუძნებლისვე გადაწყვეტილებით დაევალა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისს“, რისთვისაც საქართველოს მთავრობის განკარგულებებით მოხდა შესაბამისი ფულადი სახსრების გამოყოფა ორგანიზაციის კაპიტალის გაზრდის მიზნით.

იმის გათვალისწინებით რომ ვადები იყო ძალზედ შეზღუდული, „სპორტმშენსერვისის“ წინაშე იდგა ურთულესი ამოცანა რათა შესაძლებელი ყოფილიყო ობიექტების დროულად ექსპლუატაციაში შეყვანა და თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობა.

ალბათ უმეტეს ჩვენგანს კარგად ახსოვს უამრავი სკეპტიკურად განწყობილი ადამიანის მოსაზრება იმის თაობაზე რომ ვერცერთ შემთხვევაში ვერ მოხერხდებოდა ობიექტების დროულად ექსპლუატაციაში შეყვანა. მიუხედავად ასეთი შეხედულებებისა ჩვენი კომპანიის სწორად დაგეგმილი სტრატეგიის, ტიტანური შრომისა და რა თქმა უნდა კონტრაქტორი კომპანიების პროფესიონალიზმის ხარჯზე მოხერხდა ფაქტიურად შეუძლებელი, რაც გულისხმობს თანამედროვე სტანდარტების ძალზედ მასშტაბური ორი ობიექტის პროექტირება მშენებლობის დასრულებას 10 თვეში და ღირსეულ მასპინძლობას თბილისის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისა.

ასევე უნდა აღვნიშნოთ რომ 2015 წელს აღნიშნულ მშენებლობებზე გაწეულ ხარჯებსა და გადარიცხვის მიზნობრიობაზე, ასევე „სპორტმშენსერვისის“ სამეწარმეო საქმიანობის 2015 წლის 6 თვის შედეგებზე დასკვნა მოამზადა ისეთმა აუდიტორულმა კომპანიამ, როგორიც არის შპს „ბიდიო“.

2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის დასრულების შემდეგ ჩვენი კომპანია აღმოჩნდა ახალი ურთულესი გამოწვევის წინაშე, ორი გრანდიოზული ობიექტი რომელსაც არ გააჩნდა არანაირი ისტორია და გამოცდილება უნდა გამხდარიყო ბაზრისთვის და შესაბამისი სეგმენტისთვის საინტერესო და მისაღები როგორც მომსახურების ხარისხის ისე ფასებთან მიმართებაში.

6. „ოლიმპიური სასახლე“

ოლიმპიური სასახლე აშენდა 2015 წელს თბილისში ჩატარებული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში.

პირველ რიგში გვინდა მოგახსენოთ ოლიმპიური სასახლის ექსპლუატაციის კონცეფციის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ორდარბაზიან სპორტულ კომპლექსს სასარგებლო ფართით - 15 509.98 კვ/მ. ჩვენს მიერ მშენებლობის პროცესშივე დაიწყო

ბაზრის მოკვლევა და შესწავლა, რის შემდეგაც დაიგეგმა სტრატეგია ობიექტის შემდგომი განვითარების მიზნით. განხორციელდა არაერთი შეხვედრა სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებთან და დაინტერესებულ სეგმენტთან, რის შედეგადაც 2015 წლის სექტემბრის ბოლოს უკვე გაჩნდა პირველი კონტრაქტორები და დაიწყო შენობის დატვირთვა. 2015 წლის ბოლო კვარტლის შედეგების თანახმად ოლიმპიურმა სასახლემ შემოსავლის კუთხით 311 700 ლარიან ნიშნულს მიაღწია. 2015 წლის ბოლოსვე შევძელით გვემასპინძლა ისეთი დონის საერთაშორისო ტურნირისთვის როგორიცაა ფარიკაობის მსოფლიო თასი.

თანამედროვე სტანდარტების დაცვით აშენებულ ოლიმპიურ სასახლეში ორი დარბაზია მოწყობილი, სადაც ერთდროულად შესაძლებელია სპორტის სხვადასხვა სახეობების ტურნირების ჩატარება, როგორც სათამაშო, ასევე ინდივიდუალურ სახეობებში – ხელბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ძიუდოში, ჭიდაობაში, მინი-ფეხბურთში, ფარაიკაობაში და ა.შ.

დიდი დარბაზი 2700 გულშემატკივარს, მცირე კი 600 გულშემატკივარს იტევს. ორივე დარბაზი აღჭურვილია გასახდელებით, საშხაპეებით, სამედიცინო და დოპინგ-კონტროლის ოთახებით. სპორტულ კომპლექსში ასევე განთავსებულია:

- 150 ადამიანზე გათვლილი VIP ლაუნჯი,
- 100-120 ადამიანზე გათვლილი საკონფერენციო ოთახი,
- 80-100 ადამიანზე გათვლილი მედიაოთახი,
- სივრცე კვების ობიექტისთვის
- სასტუმრო (9 ნომერი)
- სპორტულ კომპლექს აქვს საკუთარი, 260 მანქანაზე გათვლილი პარკინგი.

აღსანიშნავია რომ კომპლექსი მასპინძლობს ღონისძიებების ისეთ სახეობებს, რომელთათვის სპეციალური ლოკაციები არის მოწყობილი, მაგალითად:

- ჩოგბურთი (კორტები);
- ევროვიზია და სხვა და სხვა საკონცერტო საღამოები (მუსიკალური დაწესებულებები)

➤ მიუდოს გრან პრი (მიუდოს აკადემია)

3 წლიანი წარმატებული მუშაობის შედეგად, კომპლექსმა უმასპინძლა ისეთი დონის ტურნირებს როგორიც არის:

- მიუდოს გრან პრი (2016,2017,2018,2019)
- დევისის თასი (2016-2017 წლებში)
- ზამთრის თასი ფუტზალში (2017-2018 წლებში)
- ყველა ვარსკვლავის მატჩი (კალათბურთი)
- ფუტზალის ბიზნეს ლიგა
- მსოფლიო ჩემპინატი ხელბურთში (ახალგაზრდული)
- უშუ - ევროპის ჩემპიონატი
- ფარიკაობის მსოფლიო თასი
- ევროპის ჩემპიონატი კარატეში საბავშვო ევროვიზია (2017) და ა.შ.

„ოლიმპიურისასახლე“		
2015 წელი		
სულ ჩატარებული აქტივობები		სულ შემოსავალი
	11	311700
№	მოსარგებლე	ღირებულება
1	კალათბურთის ერ. ფედერაცია	210000
2	საქართველოს ფარიკაობის ფედ.	40000

3	შპს "სპორტმენჯემენტგრუპი"	2100
4	შპს "საკალათბურთო კლუბი რუსთავი 1991"	350
5	შპს "სბმ SBM"	21000
6	ააიპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"	2925
7	ააიპ "საქ. საუნივერსიტეტო სპორტ. ფედ."	4000
8	შპს "კავკასიური ინფრასტრ. ტექნ."	2625
9	ააიპ "საგარეჯო ფფ სუპერსტარზი"	11000
10	ააიპ "საქ. ჭიდაობის ერ. ფედ."	17350
11	ფ/პ გიორგი დუმბაძე	350
2016 წელი		
სულ ჩატარებული აქტივობები		სულ შემოსავალი
47		1185810
№	მოსარგებლე	ღირებულება
1	ააიპ "საქ. ჩოგბურთის ფედერაცია"	69000
2	კალათბურთი სერ. ფედერაცია	632925
3	შპს "სბმ SBM"	73750
4	ფ/პ სოფიო პეტრიაშვილი	2100
5	ააიპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"	7950
6	ააიპ "საქ. ხელბურთის ერ. ფედ."	99000
7	ააიპ "საქ. ფეხბურთის ფედერაცია"	56025
8	ააიპ "საქ. საუნივერსიტეტო სპორტ. ფედ."	19950
9	ააიპ "საქ. ძიუდოს ერ. ფედერაცია"	42760
10	ააიპ "საქ. ერ.ფედ. "სპორტი ყველასათვის"	10000
11	ააიპ "საქ. კონტ. კარატეს ერ. ფედ."	35570
12	შპს "ჰოლმსიდაუოტსონი"	175
13	ფ/პ ვალენტინა კუზმიდი	1350
14	ფ/პ ნინო წილოსანი	450
15	ააიპ "საკალათბურთო კლუბი მგზავრები-არმია"	1350
16	ფ/პ გიორგი თურქია	10000
17	ფ/პ მერტოზი	200

18	მოქ. პოლიტ. გაერთ. "ქართულიოცნება - დემოკ. საქ."	10000
19	ააიპ "საქ.-ისრაელის ბიზნესპალატა"	5500
20	ააიპ "საქ. ჭიდაობის ერ. ფედ."	85030
21	ფ/პ ზურაბ შამუგია	5000
22	ააიპ "სამოქ. ინიციატივა საზოგად. ჯანმრთ."	3500
23	ააიპ "საქ. პანკრ, გრენფ. და ბეთლ რეს. ერ. ფედ."	10000
24	ფ/პ "ვასილ კვანტალიანი"	700
25	შპს "გამომცემლობა პალიტრა L"	3000
26	შპს "სოკარ ჯორჯია გაზი"	525
2017 წელი		
	სულ ჩატარებული აქტივობები	სულ შემოსავალი
	46	1478671,64
№	მოსარგებლე	ღირებულება
1	კალათბურთის ერ. ფედერაცია	632880
2	შპს "სბმ SBM"	82800
3	ააიპ "საქ. ფეხბურთის ფედერაცია"	166925
4	ააიპ "საქ. ფეხბურთის ფედერაცია"	48000
5	შპს "ფუდსერვისი"	478,33
6	ააიპ "საქ. რაგბის კავშირი"	300
7	ააიპ "საქ. ხელბურთის ერ. ფედ."	112390
8	ააიპ "საქ. ჭიდაობის ერ. ფედ."	12000
9	ააიპ "საქ. საუნივერსიტეტო სპორტ. ფედ."	26250
10	ააიპ "საქ. უშუს ერ. ფედ."	93100
11	ო/მ ელენე ღულუნიშვილი	273,32
12	ააიპ "საქ. ძიუდოს ერ. ფედერაცია"	50205
13	ლევან სამუშია	350
14	ო/მ ბიძინა სამუკაშვილი	204,99
15	ააიპ "საქ. საბრძოლო ხელოვნ. კონფედ."	4000
16	ააიპ "საქ. ფრენბურთის ერ. ფედ."	60000
17	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	22500

18	ააიპ "მოქალ. პოლიტ. გაერთ. "ევრ. საქ-მოძრ. თავის."	6340
19	შპს "Film Asylum"	225
20	სს "კრედოზანკი"	1050
21	შპს "ვანილაივენთი"	1400
22	სსიპ "საქ. ტურიზმისერ. ადმინისტრაცია"	157000

2018 წელი		
	სულ ჩატარებული აქტივობები	სულ შემოსავალი
	45	1529032.5
№	მოსარგებლე	ღირებულება
1	ააიპ "კალათბურთის ეროვნული ფედერაცია"	525300
2	ააიპ "ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია"	45000
3	შპს "სბმ ეგენსი"	93150
4	ააიპ "ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია"	55912.5
5	ააიპ "ხელბურთის ეროვნული ფედერაცია"	10800
6	შპს " ჩემპიონები 111"	9600
7	ააიპ "საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია"	52000
8	ააიპ " პენსილვანიის საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრაქტ	72000
9	შპს "ქ.თბილისის ჰოკეის საქალაქო ფედერაცია"	5000
10	შპს "საქართველოს ჰოკეის საქალაქო ფედერაცია"	10000
11	ააიპ "საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია"	3510
12	შპს "საქართველოს ჰოკეის საქალაქო ფედერაცია"	2730
13	ააიპ "ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია"	17600
14	ააიპ "საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია"	26400
15	ააიპ " საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია"	450
16	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	4000
17	ააიპ "საქართველოს საწყალოსნო სახეობათა ერ, ფედ"	2800
18	ააიპ "სტ სტუდენტური კოალიცია"	1000
19	ააიპ "საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია"	26900
20	ააიპ "საქ. ხუთჭიდისა და ტრიალტონის ფედერაცია"	750
21	ააიპ "საქართველოს საწყალოსნო სახეობათა ერ, ფედ"	16140
22	ააიპ "ხელბურთის ეროვნული ფედერაცია"	6400
23	ააიპ "კალათბურთის ეროვნული ფედერაცია"	262650
24	ააიპ "ხელბურთის ეროვნული ფედერაცია"	95800

25	ააიპ "საქართველოს საწყალოსნო სახეობათა ერ, ფედ"	2100
26	ააიპ "თბილისის საწყალოსნო სახეობათა ფედ"	6000
27	ააიპ "ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია"	2625
28	ააიპ "საქ. სამზოს ეროვნული ფედერაცია"	33500
29	შპს "სბმ ეგენსი"	12800
30	სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	9100
31	შპს "ჩემპიონები 111"	5250
32	ააიპ "ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია"	2100
33	ააიპ "ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია"	2700
34	ააიპ "საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია"	6000
35	ააიპ "საქ. უსინათლოთა და სუსტი მხედ. პქონე პირთა ფეხ. ფედ"	24500
36	ააიპ "ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია"	23840
37	შპს "სბმ ეგენსი"	12800
38	ააიპ "ფეხბურთის ეროვნული ფედერაცია"	5225
39	ააიპ "ხელბურთის ეროვნული ფედერაცია"	14400
40	ააიპ "თბილისის ახალგაზრდული ცენტრის გაერთიანება"	7200
41	ააიპ "საქართველოს ჩერლიდინგის ფედერაცია"	3000
42	ააიპ "საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია"	3000
43	ააიპ "საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია"	4500
44	ააიპ "საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაცია"	1500
45	ააიპ "საქართველოს თანამედროვე ხუთჭ. ფედ"	1000

2019 წელი		
	სულ ჩატარებული ღონისძიებები	სულ შემოსავალი
	71	1415325
1	ხელბურთის ეროვნული ფედერაცია	54300
2	ფეხბურთის ფედერაცია	161310
3	შ.პ.ს. "ჩემპიონები 111"	15750
4	ვითიბი ბანკი ჯორჯია	17675
5	კალათბურთის ეროვნული ფედერაცია	790650
6	სბმ ეგენსი	75200
7	საქართველოს ჩერლიდინგის ეროვნული ფედერაცია	6000
8	ფორმულა კრეატივი	490
9	ძიუდოს ეროვნული ფედერაცია	52350
10	პენსილვანიის საგუშაგო ფონდი	193200
11	საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია	22400
12	ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია	24800
13	დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანება	1200

2016 წელს მოხდა სრულად აღჭურვა ოლიმპიურ სასახლეში განთავსებული სასტუმროსი, რის შედეგადაც იმავე წელს შევძელით ვიზიტორების მიღება. ასევე ამავე წელს დაპროექტდა და ფუნქციონირება დაიწყო ოლიმპიური სასახლის ავტოსადგომმა. ოპტიმალურად გაწეულმა დანახარჯებმა შედეგად დაგვანახა და დღეისათვის იგი შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისის“ შემოსავლის ერთ-ერთი სტაბილური წყაროა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ რომ ოლიმპიური სასახლე თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც განთავსებულია უამრავი სველი წერტილი და დარბაზი მუდმივად დატვირთულია სახვადასხვა სპორტული აქტივობით, ამასთან ადამიანთა ზემოხსენებული ტრაფიკის გათვალისწინებით, სისტემატურად საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს, რასაც ვახორციელებთ კიდეც ხარისხის მაღალი სტანდარტის შენარჩუნების მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მთელი ამ პერიოდის განმავლობაში თითქმის არც ერთი პრეტენზია არ მიგვიღია ჩვენი კონტრაქტორების მხრიდან და გვინდა სიამაყით განვაცხადოთ რომ ოლიმპიურ სასახლეში ხარისხი და მომსახურების მაღალი სტანდარტი „სპორტმშენსერვისის“ სავიზიტო ბარათად იქცა.

აქვე გვინდა გაგაცნოთ ოლიმპიური სასახლის კუთხით ფასწარმოქმნის პოლიტიკა. ღირებულების განსაზღვრა ხდება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. განსაზღვრული ფასი ჩვენთვის ის მინიმუმია რომლის დაკლებაც შეუძლებელია. რაც შეეხება მატებას, ვითვალისწინებთ რომ აუცილებელი დანახარჯების გათვალისწინებით ღირებულება მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს ყველა დაინტერესებული სეგმენტისთვის, რასაც ჩვენი აზრით ვაღწევთ კიდეც.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტის გათვალისწინებით გვინდა გაცნობოთ რომ ოლიმპიური სასახლით დაინტერესება როგორც მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში ისე დღესაც მზარდია რაც დადებით ტენდენციად მიუთითებს.

7. ოლიმპიური აუზი

„ოლიმპიური აუზი“ (საკ.კოდი 01.72.14.009.354) აშენდა 2015 წელს, თბილისში ჩატარებული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ფარგლებში. შესაბამისად ის აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს, როგორც სპორტული ტურნირების ორგანიზების, ასევე დამსვენებელთა მიღების კუთხით. აუზის მიწის ფართი შეადგენს - 19 603.00 კვ/მ, შენობა-ნაგებობის ფართი - I-II სართული 5 069.3 კვ/მ, ღია აუზის -

2375 კვ/მ, აუზის გარე პერიმეტრი - 2250 კვ/მ, დამხმარე ფართი I სართულზე -640 კვ/მ და საქვაბე 157 კვ/მ-ს.

საცურაო კომპლექსი აერთიანებს ორ ღია ტიპის აუზს და ერთ დახურულ „საწყუმპალაოს“ ბავშვებისათვის. კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებულია ორი სხვადასხვა ზომის სპორტული დარბაზი . აქვე მოცემულია მათი ზომები: ღია აუზი - 50*25მ და 35*25მ; საბავშვო დახურული აუზი - 12*3მ; ხოლო დარბაზის - 300 კვმ. და 144 კვმ. აუზში

ოლიმპიურ აუზს აქვს შესაძლებლობა უმასპინძლოს საწყალოსნო სპორტის ნებისმიერ სახეობას. ღია აუზების გარშემო განთავსებულია ტრიბუნები, რომლებიც გათვლილია 2160 მაყურებელზე. ზემოაღნიშნული მომსახურება ითვალისწინებს შშმ პირებსაც. ასევე ადმინისტრაციული შენობის პირველ და მეორე სართულზე განთავსებულია 15-მდე საოფისე და საკონფერენციო ოთახი, ხოლო კომპლექსის გარე ნაწილში 8 სასაწყობე ოთახი. აუზის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ღია და დახურული კაფე-ბარი.

ოლიმპიური აუზი თავისი შინაარსით წარმოადგენს სპეციფიურ ობიექტს იმის გათვალისწინებით რომ ძირითადი აუზები ღია ტიპისაა და მათი მომსახურეობა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

ოლიმპიურმა აუზმა როგორც ზემოთ მოგახსენეთ ღირსეულად უმასპინძლა 2015 წლის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს, ხოლო სეზონური ფუნქციონირება 2016 წლის ივნისიდან დაიწყო.

2019 წელს ოლიმპიურ აუზმა უმასპინძლა საერთაშორისო ევროპის ჩემპიონატს წყალბურთში.

„სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტისთვის ცხადი იყო, რომ ოლიმპიური აუზის მაქსიმალურად დატვირთვის გარეშე მისი სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება ისეთი ფინანსური „დარტყმა“ მიგვეღო, რომელიც მთლიანად კომპანიის შედეგებზე იმოქმედებდა. აქედან გამომდინარე დასახული მიზნის მისაღწევად მენეჯმენტის მიერ მომხმარებლებისათვის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად იქნა რიგი ღონისძიებები გატარებული, რამაც გამოიწვია მიმდინარე წელში, გასულ წელთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობის მატება, რისი შედეგიც ასახულია ოლიმპიური აუზიდან მიღებულ შემოსავლებში.

დასაქმებულ პირთა დინამიკა:

დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მომსახურებების მინიმალური ღირებულებები სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა მომსახურებების შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გავითვალისწინეთ სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა. გარდა ამისა უმნიშვნელოვანესი იყო მომსახურების დონის მაღალი სტანდარტი, რაც უნდა გამოხატულიყო აუზების წყლის ხარისხში, ჰიგიენის ნორმების უმკაცრეს დაცვაში, უსაფრთხოების მაღალ დონეში და ასევე სხვა მომსახურებების მაღალ სტანდარტში. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით აუცილებელი გახდა კვალიფიციური კადრების დასაქმება ოლიმპიურ აუზზე და ორივე მხარისთვის მისაღები შრომის ანაზღაურების გადახდა. „სპორტმშენსერვისის“ თითოეული თანამშრომლის ჩართულობით და დაუღალავი შრომის ხარჯზე მიღწეულ იქნა ზემოჩამოთვლილი მოთხოვნები.

მომხმარებელთა ნაკადის ზრდასთან ერთად შესაბამისად იზრდება კადრების რაოდენობაც. სეზონის განმავლობაში ოლიმპიური აუზი იმატებს ჰიგიენის, ტექნიკური და ფინანსური სამსახურის თანამშრომლებს. ესენი არიან: აუზის შიდა და გარე პერიმეტრის დამლაგებლები, დაცვის სამსახურის თანამშრომლები, მაშველები, მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები, უშუალოდ აუზის პერიმეტრისა და აუზის წყლის მომვლელები, მიმღებისა და კაფის მოლარეები, ექიმები, ექთნები, მზარეულები, ბარმენები და მიმტანები.

ტანვარჯიშის არენა

2018 წელს ტანვარჯიშის არენა დამფუძნებლის მიერ შეტანილ იქნა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს კაპიტალში. იგი აერთიანებს 2 დახურულ დარბაზს. აქვე მოცემულია შემოსავლები წლების მიხედვით:

2019 წელი		
	სულ ჩატარებული ღონისძიებები	სულ შემოსავალი
	24	49215
1	საქ. ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნ. ფედერაცია	18700
2	ფიზიკური პირები (ზზორები)	9790
3	შ.პ.ს "აგ ჰოსტი"	7145

4	თბილისის ტანვარჯიშის ფედერაცია	5400
5	ხუთჭიდის ეროვნული ფედერაცია	2880
6	ფ/პ - გიორგი ჩხენკელი	2300
7	r-delux	3000

ასევე ტანვარჯიშის არენაზე ფუნქციონირებს ბავშვთა შემსწავლელი ჯგუფები: მხატვრული და სპორტული ტანვარჯიში, აკრობატიკა და ბატუტზე ხტომა. აღნიშნულ ჯგუფებს ამზადებენ სერთიფიცირებული აღმზრდელები შესაბამის სახეობაში.

ტანვარჯიშის არენაზე დამონტაჟებულია ტურნიკების დაშვების სისტემა,

ტანვარჯიშის არენის დარბაზებისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მომსახურეობების მინიმალური ღირებულებები სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა მომსახურეობების შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გავითვალისწინეთ სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა. გარდა ამისა უმნიშვნელოვანესი იყო მომსახურების დონის მაღალი სტანდარტი უნდა გამოხატულიყო სავარჯიშო ინვენტარის ხარისხსა და ჰიგიენის ნორმების უმკაცრეს დაცვაში, უსაფრთხოების მაღალ დონეში და ასევე სხვა მომსახურეობების მაღალ სტანდარტში. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით აუცილებელი გახდა კვალიფიციური კადრების დასაქმება და ორივე მხარისთვის მისაღები შრომის ანაზღაურების გადახდა. „სპორტმშენსერვისის“ თითოეული თანამშრომლის ჩართულობით და დაუღალავი შრომის ხარჯზე მიღწეულ იქნა ზემოჩამოთვლილი მოთხოვნები.

ფრენბურთის არენა

2018 წელს ფრენბურთის არენა დამფუძნებლის მიერ შეტანილ იქნა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს კაპიტალში. იგი აერთიანებს ორ დარბაზს. აქვე მოცემულია შემოსავლები წლების მიხედვით:

ფრენბურთის არენა		
2018 წელი		
	სულ ჩატარებული ღონისძიებები	სულ შემოსავალი
	5	15000

1	ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია	7500
2	ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია	5000
3	კარატეს ეროვნული ფედერაცია	1500
4	ხუთჭიდის ეროვნული ფედერაცია	1000

2019 წელი		
	სულ ჩატარებული ღონისძიებები	სულ შემოსავალი
	32	138370
1	ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია	26000
2	საქ. უშუს ეროვნული ფედერაცია	3000
3	ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია	7500
4	უშუს თბილისის ფედერაცია	1500
5	თბილისის ტაეკვონტო საქალაქო ფედერაცია	6000
6	საქ. სამხოს ეროვნული ფედერაცია	3000
7	საქართველოს სპორტის საწყალოსნო სსახ. ეროვ. ფედ.	2500
8	თბილისის პირველი ბადმინტონის ფედერაცია	1000
9	ფეხბურთის ფედერაცია	14670
10	მკლავჭიდის ეროვნული ფედერაცია	7500
11	საქართველოს ბადმინტონის ეროვნული ფედერაცია	1500
12	საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია	7500
13	ქეთი ხატიაშვილის ტანვარჯიშის სკოლა	3000
14	ეს ბი ემ აგენსი	1500
15	სასკოლო ფედერაცია	3000
16	ჯითისი	1200
17	კრივის ეროვნული ფედერაცია	26000
18	ფატიმა მაგოევი	4500
19	ტაეკვანდოს ეროვნული ფედერაცია	3000
20	ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანება	1500
21	საქ. ქართული ჭიდაობის ფედერაცია	1700
22	ნიკორა	2100
23	ძალოსანთა ეროვნული ფედერაცია	3000
24	გარემოს დაცვის სამინისტრო	3100
25	ბრძოლა წესების გარეშე	2100
26	საქართველოს ტაეკვონდოს ი.ტ.ფ. ფედერაცია	1000

ფრენბურთის დარბაზს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რათა შეძლებული საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარება.

ფრენბურთის არენის დარბაზებისთვის დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მომსახურეობების მინიმალური ღირებულებები

სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა მომსახურეობების შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გავითვალისწინეთ სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა. ფრენბურთის დარბაზებში მიმდინარე წელს ჩატარდა არაერთი საერთაშორისო ტურნირი.

2019 წლის აგვისტოს დამფუძნებლის მიერ შეტანილ იქნა შ.პ.ს. „სპორტმშენსერვისი“-ს კაპიტალში 7 ერთეული მოედანი: 3 ბუნებრივსაფარიანი და 1 ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედანი და 1 ბუნებრივსაფარიანი და 2 ხელოვნურსაფარიანი რაგბის მოედანი. აქვე მოცემულია 2019 წლის პერიოდის შემოსავლები:

ფეხბურთისა და რაგბის ხელოვნური და ბუნებრივი ღია სტადიონები

2019 წლის -- შპს „სპორტმშენსერვისის“ დამფუძნებლის ბრძანების საფუძველზე კაპიტალში შეტანილი იქნა დიდმის სასწავლო საცდელი მეურნობაზე არსებული (ს/კ 01.72.14.009.551) 7 ერთეული ფეხბურთისა და რაგბის ხელოვნური და ბუნებრივი ღია სტადიონები. აღნიშნული სტადიონებიდან 2019 წლის განმავლობაში შემოსავალმა შეადგინა:

სტადიონები		
2019 წელი		
	სულ ჩატარებული ღონისძიებები	სულ შემოსავალი
	20	75520
1	შ.პ.ს. "საფ. კლუბი რუსთავი"	13450
2	შ.პ.ს. "საფ. კლუბი ვიტ-ჯორჯია"	21450
3	შ.პ.ს. "საფ. კლუბი იბერია-2010"	4500
4	შ.პ.ს. "საფ. კლუბი საბურთალო დიდი დილომი"	9300
5	შ.პ.ს. "საფ. კლუბი სიონი"	22950
6	შ.პ.ს. "საფეხბურთო კლუბი საჩხერის ჩიხურა"	1150
7	ი/მ ალექსანდრე ტატიშვილი	2720

აღნიშნულ მოედნებს ჭირდებათ სპეციფიური მოვლა-პატრონობა, დავიქირავეთ სპეცტექნიკა და პროფესიონალი კადრები, მენეჯმენტის ძალისხმევით მოხდა მოედნების საექსპლუატაციო მდგომარეობამდე მიყვანა.

როგორც ზემოთ მითითებული დარბაზებისა, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ბაზრის მოკვლევის პრინციპით დადგინდა მოედნების მომსახურეობების მინიმალური ღირებულებები სხვადასხვა შეთავაზებებზე, ხოლო „სპორტმშენსერვისის“ მენეჯმენტის მიერ განისაზღვრა მომსახურეობების

შეთავაზების საბოლოო ფასები, სადაც სრულად გავითვალისწინეთ სოციალური საკითხი და ფასები განისაზღვრა გაცილებით დაბალი ვიდრე კონკურენტებისა.

2020წლის მანძილზე შპს „სპორტმშენსერვისში“ საშუალოდ დასაქმებულთა რაოდენობა შტატით 59 და შტატგარეშე 96 ადამიანი შეადგინა.

სამომავლოდ დაგეგმილი სიახლეები

შპს სპორტმშენსერვისის ყველა ლოკაციის მომხმარებლისათვის კომფორტის შესაქმნელად, ვიზიტორების მოსაზიდად და შესაბამისად ფინანსური მოგების გაზრდის მიზნით საჭიროა კომპლექსების კეთილმოწყობა, სტადიონების სრული დატვირთვით ფუნქციონირებისათვის და სხვადასხვა დონის ტურნირების ჩატარებისათვის აუცილებელია რიგი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება, კერძოდ გუნდების მწვრთნელების და სათადარიგო მოთამაშეებისათვის დასახდომი სკამების მოწყობა, გადამღები ოპერატორის ვიშკის განთავსება, გასახდელების კეთილმოწყობა და ა.შ. ასევე სტადიონების მოსავლელად აუცილებელია სპეცტეჟნიკის შესყიდვა, რითაც მოხდება აღნიშნულ სპეცტეჟნიკის იჯარაზე გადასახდელი თანხის დაზოგვა.

შპს სპორტმშენსერვისის

დირექტორი:

თორნიკე ტყეშელაშვილი